



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 43
07/07/2016

43-06-4-201607071531



განკარგულება N43
6 ივლისი 2016 წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლში არსებული ფართის ინგა ფრანგულაშვილისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო